



თბილისის
საპროცესინო
აკადემია



ვხედავ, ვმოქმედებ, ვესმარები:

მასწავლებელთა ცნობიერების ამაღლება ბავშვთა
მენტალური კეთილდღეობის შესახებ

კონსტანტინე გაჩეჩილაძე
მარია ბიჩნიგაური
მარიამ ნულაძე
ირაკლი ხუნწარია

ჩვენი გუნდი



კონსტანტინე
გაჩეჩილაძე



მარია
ბიჩნიგაური



ირაკლი
შვენარია




მარიამ
ნულაძე

ჩვენი გუნდი



მარია
ჭელიძე



მარია
მაჭავარიანი

პროექტის მიზნები

- მენტალური ჯანმრთელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება
- მენტალური გამოწვევების ადრეული სიმპტომების ამოცნობა
- მოსწავლეებისათვის მხარდამჭერი გარემოს შექმნა
- საჭიროების შემთხვევაში მშობელთან სწორი კომუნიკაცია
- სკოლაში და საკლასო ოთახში მენტალური ჯანმრთელობის მიმართ სტიგმის შემცირება
- შევქმნათ საინფორმაციო, მარტივად გამოსაყენებელი რესურსები
- შევაფასოთ არსებული და მიღებული ცოდნა

შეხვედრის გეგმა

შესავალი და ტესტი (პრე-ტესტი)

სლაიდების პრეზენტაცია (თეორიული ნაწილი):

- დეპრესია
- შფოთვითი აშლილობები
- აუტიზმის სპექტრის აშლილობა
- ექვევითი აშლილობები
- სწავლის სირთულეები / დისლექსია
- ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი (ADHD)
- მშობელთან კომუნიკაცია

ქეისების განხილვა (Case-based learning): ჯგუფური/ინტერაქციული დისკუსია, ქეისებზე მსჯელობა

ღია დისკუსია და კითხვა-პასუხი

დასკვნითი ტესტი (პოსტ-ტესტი)

რატომ არის ბავშვთა მენტალური ჯანმრთელობა მნიშვნელოვანი ?

- WHO-ს განმარტებით ჯანმრთელობა არის სრული ფიზიკური, მენტალური და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობა
- ყოველი 5 ბავშვიდან 1-ს აქვს ფსიქიკური, ემოციური ან ქცევითი პრობლემა
- მენტალური პრობლემების დიდი ნაწილი იწყება ბავშვობაში (14 წლამდე)
- ბევრი შემთხვევა რჩება უხილავი და არადიაგნოზირებული
- ეს გავლენას ახდენს:
 - სწავლაზე და აკადემიურ მოსწრებაზე
 - სოციალურ ურთიერთობებზე
 - ბავშვის თვითშეფასებასა და განვითარებაზე

რატომ ვსაუბრობთ ამაზე მასწავლებლებთან ?

- მასწავლებელი ხშირად არის პირველი, ვინც ამჩნევს ცვლილებებს
- სკოლა არის ადგილი, სადაც ბავშვი ატარებს დღის დიდ ნაწილს

ადრეული ამოცნობა ნიშნავს:

- დროულ დახმარებას
- პრობლემების გადრმავეების პრევენციას
- ბავშვის მხარდაჭერას სწორ დროს

ჩვენი მიზანია:

- გაძლიერდეს მასწავლებლის როლი
- შეიქმნას უსაფრთხო და მხარდამჭერი გარემო

მეცოთვითი აქლოლობა

რა არის შფოთვა ?

ბუნებრივი რეაქცია

- ორგანიზმის, ბუნებრივი და სრულიად ნორმალური რეაქცია
- დამცველობითი პასუხი
- შიში რეალური საფრთხის მიმართ

შფოთვითი აშლილობა

- გამძაფრებული და არაპროპორციული რეაქცია რეალური ან არარეალური საფრთხის მიმართ
- მუდმივი დარდი რომელიც ხელს უშლის ადამიანს ყოველდღიურ ცხოვრებაში

შფოთვითი აშლილობის ტიპები

გენერალიზებული შფოთვითი აშლილობა

- მუდმივი და გადაჭარბებული შფოთვა ყოველდღიურ საკითხებზე
- გრძელდება მინიმუმ 6 თვე

პანიკური აშლილობა

- უეცარი ძლიერი შიში ფიზიკური ნიშნებით (გულის ფრიალი, სუნთქვის გაძნელება, თავბრუსხვევა)
- შეტევების განმეორების შიში

სოციალური შფოთვითი აშლილობა

- სოციალური სიტუაციების ძლიერი შიში (განსჯის, დამცირების შიში)
- მაგალითები: საჯაროდ საუბარი, უცნობებთან ურთიერთობა

სპეციფიკური ფობიები

- კონკრეტული ობიექტის ან სიტუაციის ირაციონალური შიში
- მაგალითები: სიმაღლე, ფრენა, ობობები, ინექციები

შფოთვითი აშლილობის ტიპები

აგორაფობია

- შიში იმ სიტუაციების, სადაც გაქცევა რთულია
- მაგალითები: ბრბო, ტრანსპორტი, ღია ან დახურული სივრცეები

განშორების შფოთვითი აშლილობა

- გადაჭარბებული შიში ახლობელ ადამიანთან დაშორებისას
- ხშირია ბავშვებში, მაგრამ გვხვდება ზრდასრულებშიც

სელექტიური მუტიზმი

- ბავშვი გარკვეულ სოციალურ სიტუაციებში ვერ ლაპარაკობს, მიუხედავად იმისა რომ სხვაგან ნორმალურად საუბრობს

რატომ ჩნდება შფოთვა ?

ბიოლოგიური მიზეზები

- ნეიროტრანსმიტერების დისბალანსი (სეროტონინი, ნორადრენალინი, GABA)
- გენეტიკური წინასწარგანწყობა (ოჯახში შფოთვის ისტორია)
- ტვინის სტრუქტურების ჰიპერაქტივობა (მაგ. ამიგდალა)

გარემო და სოციალური ფაქტორები

- ქრონიკული სტრესი (სწავლა, ბუღინგი)
- მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული ცვლილებები (საცხოვრებლის შეცვლა, მშობლების დაშორება)
- ოჯახური ან სოციალური კონფლიქტები (ოჯახური ძალადობა, თანაკლასელებთან კონფლიქტი)

რატომ ჩნდება შფოთვა ?

სამედიცინო და ფიზიკური მიზეზები

- ზოგიერთი დაავადება (მაგ. ჰიპერთირეოზი, გულის პრობლემები)
- ჰორმონალური ცვლილებები (თინეიჯერობის ასაკი)
- ძილის დეფიციტი

ფსიქოლოგიური მიზეზები

- ხასიათი/პიროვნული ტიპი (პერფექციონიზმი, დაბალი თვითშეფასება)
- ნეგატიური აზროვნების სტილი („ყველაზე ცუდი მოხდება“)
- ბავშვობის ტრავმები ან ემოციური უგულვებელყოფა

სიმპტომები და ადრეული ნიშნები

მუდმივი დადასტურების მოთხოვნა

მოსწავლე ხშირად კითხულობს:

- "სწორად ვაკეთებ?"
- "ხომ არ შევცდი?"
- "სხვებმა უკეთესად ხომ არ დანერეს?"

ფიზიკური ჩივილები

- ხშირი მუცლის ან თავის ტკივილი
- გულისრევის შეგრძნება
- სუნთქვის აჩქარება
- ადვილად დაღლა, ძილიანობა
- კუნთების დაჭიმულობა და მუდმივი მოუსვენრობა

განსაკუთრებით ტესტების წინ

სიმპტომები და ადრეული ნიშნები

კოგნიტური ნიშნები

- ყურადღების დეფიციტი
- უეცარი კონცენტრაციის გაძნელება
- შეცდომების დაშვების შიში (პერფექციონიზმი)

სოციალური ჩაკეტილობა

ერიდება:

- კითხვების დასმას და პასუხის გაცემას
- კლასის წინაშე გამოსვლას
- თანატოლებთან ურთიერთობას

საყურადღებო ნიშნები ("წითელი დროშები")



სისტემატური უარი სკოლაში
ნასვლაზე, შიშის ან
მშობელთან განშორებაზე
დარდის გამო

სელექტიური მუტიზმი :
ბავშვი თავისუფლად საუბრობს
სახლში, მაგრამ სკოლაში
საერთოდ არ იღებს ხმას

პანიკის შეტევა : უეცარი, ძალიან
ძლიერი შიშის შეგრძნება,
რომელსაც ახლავს კანკალი,
ოფლიანობა და "გაგიჟების" ან
სიკვდილის შიში

განმეორებადი რიტუალები :
ნივთების მუდმივი გადამოწმება,
ხელების ხშირი ბანა ან გარკვეული
მოქმედებების მკაცრად დადგენილი
წესით შესრულება

საყურადღებო ნიშნები ("წითელი დროშები")



მძიმე ფიზიკური
სიმპტომები :

ყლაპვის ან სუნთქვის
გაძნელება, მუდმივი გულის
რევის შეგძრნება

თვითდაზიანების რისკი :

უიმედობის გამოხატვა,
ძლიერი დეპრესიული
ფონი, სიკვდილზე საუბარი

პრაქტიკული რჩევები

რა უნდა გავაკეთოთ :

- ასწავლეთ მარტივი სუნთქვითი ან მოდუნების ვარჯიშები
- შექმენით უსაფრთხო და პროგნოზირებადი სასწავლო გარემო
- გამოიჩინეთ ემპათია, აგრძნობინეთ რომ მის სიმპტომებს ხედავთ და საკლასო ოთახი მათთვის უსაფრთხო გარემოა

რა არ უნდა გავაკეთოთ :

- არ ჩააგდოთ მოსწავლე მოულოდნელ სტრესულ სიტუაციაში
- არ უგულვებელყოთ მათი სიმპტომები
- არ მისცეთ საშუალება სრულიად აარიდონ მათ შიშებს თავი

დეპრესია

რა არის დეპრესია ?

დეპრესია (ძველად ასევე მოიხსენიებოდა როგორც “მელანქოლია”) არის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფსიქიკური ჯანმრთელობის დარღვევა, რომელიც მნიშვნელოვნად აზიანებს ადამიანის ყოველდღიურ ფუნქციონირებას.

მნიშვნელოვანია გავმიჯნოთ დეპრესია ჩვეულებრივი სევდისა და ან მწუხარებისგან. სევდა არის ბუნებრივი ემოცია და ჩვეულებრივ დროებითია, ხოლო დეპრესია ხანგრძლივი მდგომარეობაა, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაზე, სწავლასა და სოციალურ ურთიერთობებზე ახდენს უარყოფით გავლენას.

დეპრესია ხასიათდება ე.წ. “დეპრესიული ტრიადით”

- დაქვეითებული, დათრგუნლი გუნება-განწყობა
- აზროვნების შენელება (მაგალითად კონცენტრაციის გაძნელება, ნეგატიური ფიქრები)
- მოტორული აქტივობის შემცირება (მოძრაობის, ენერგიისა და აქტიურობის დაქვეითება)

ასევე აღინიშნება სომატო-ვეგეტატიური სიმპტომები , როგორცაა :

ძილის დარღვევა (უძილობა
ან ზედმეტი ძილი)

მადის ცვლილება

ქრონიკული დაღლილობა

სხვადასხვა ფიზიკური
ჩივილები (მაგ. ტკივილები)

დეპრესიის ძირითადი ტიპები :

დიდი დეპრესიული აშლილობა

ყველაზე გავრცელებული და მძიმე ფორმა. დიაგნოზი ისმევა მაშინ, როდესაც ადამიანს აქვს მინიმუმ ერთი დეპრესიული ეპიზოდი, რომელიც გრძელდება სულ მცირე 2 კვირა და მნიშვნელოვნად არღვევს მის ყოველდღიურ ფუნქციონირებას.

ხანგრძლივად მიმდინარე დეპრესიული აშლილობა (დისტიმია)

დეპრესიის ქრონიკული, შედარებით მსუბუქი, მაგრამ ხანგრძლივი ფორმა. სიმპტომები შეიძლება ნაკლებად მძაფრი იყოს, თუმცა ბავშვებში და მოზარდებში გრძელდება მინიმუმ 1 წელი.

დეპრესიის ძირითადი ტიპები :

ატიპიური დეპრესია

ამ ტიპისთვის დამახასიათებელია:

- მომატებული ძილიანობა
- მომატებული მადა ან ჭარბი კვება
- ენერჯის ნაკლებობა
- ძლიერი ემოციური რეაქცია უარყოფაზე (უარის მიმართ მაღალი მგრძობელობა)

ფსიქოზური დეპრესია

მძიმე ფორმა, როდესაც დეპრესიას თან ერთვის ფსიქოზური სიმპტომები, როგორცაა:

- ბოდვითი აზრები (არასწორი, რეალობას აცდენილი რწმენები)
- ჰალუცინაციები (არარსებული საგნების/ხმების აღქმა)

დეპრესიის ძირითადი ტიპები :

სეზონური აფექტური აშლიობა

დეპრესიის ფორმა, რომელიც დაკავშირებულია **სეზონურ ცვლილებებთან** . ყველაზე ხშირად იწყება შემოდგომა-ზამთარში, როდესაც მცირდება მზის სინათლე, და უმჯობესდება გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში.

როგორ და რატომ ვითარდება დეპრესია ?

ბიოლოგიური ფაქტორები

ნეიროტრანსმიტერების დისბალანსი
(სეროტონინი, ნორადრენალინი, დოფამინი)

გენეტიკური წინასწარგანწყობა
(ოჯახში დეპრესიის ისტორია)

ფსიქოსოციალური ფაქტორები

ახლობელი ადამიანის დაკარგვა

განმორება ან ოჯახური კონფლიქტები

ბავშვობაში ემოციური მხარდაჭერის ნაკლებობა

ადრეულ ტრავმული გამოცდილება

კოგნიტური ფაქტორები “დეპრესიული აზროვნება”

ნეგატიური წარმოდგენა საკუთარ თავზე (“არაფერში ვვარგვივარ”)

ნეგატიური ხედვა გარემოზე (“ყველაფერი ცუდადაა”)

პესიმისტური დამოკიდებულება მომავალზე (“არაფერი შეიცვლება”)

სიმპტომები და ადრეული ნიშნები

ძილი

- გაკვეთილზე ჩაძინება
- მუდმივი დაღლილობის შეგრძნება

ინტერესი

- ინტერესის დაკარგვა იმ აქტივობის მიმართ, რაც ადრე მოსწონდა
- ნაკლები ჩართულობა კლასში (ე.წ. ანჰედონია)

დანაშაულის განცდა

- გადამეტებული თვითბრალდება
- პატარა შეცდომების “დიდ ტრაგედიად” აღქმა

ენერგია

- მუდმივი დაღლილობა
- მოტივაციის მკვეთრი დაქვეითება

სიმპტომები და ადრეული ნიშნები

კონცენტრაცია

- ყურადღების გაფანტვა
- დავალებების შესრულების გაძნელება
- აკადემიური მოსწრების გაუარესება

ფსიქომოტორული ცვლილებები

- აფიტაცია (მოუსვენრობა, ვერ ისვენებს)
- ან პირიქით შესამჩნევი შენელება, პასიურობა

მადა

- მადის შემცირება ან მომატება
- ნონის შესამჩნევი ცვლილება

სუიციდური ფიქრები

- სიკვდილზე საუბარი
- საკუთარი თავის დაზიანების იდეები ან მინიშნებები

ხშირად ვლინდება :

გალიზიანებადობა და
ბრაზის აფეთქებები
(ნაცვლად სევდისა)

სკოლის არიდება და
პრობლემები
მასწავლებლებთან

სომატური ჩივილები: ხშირი
თავის ან მუცლის ტკივილი

საყურადღებო ნიშნები ("წითელი დროშები")



უიმედობის ძლიერი განცდა

- ფრაზები როგორიცაა: “არაფერს აქვს აზრი”, “არაფერი შეიცვლება”
- მომავლის მიმართ სრული პესიმიზმი

სოციალური იზოლაცია

- მეგობრებთან დისტანცირება
- ჯგუფურ აქტივობებში ჩართვის თავიდან აცილება

სუიციდური მინიშნებები ⚠

- პირდაპირი საუბარი სიკვდილზე (“მინდა, რომ აღარ ვიყო”)
- არაპირდაპირი მინიშნებები (“უკეთესი იქნებოდა, რომ არ ვყოფილვიყავი”)
- პირადი ნივთების დარიგება ან “დამშვიდობების” მსგავსი ქცევა

მკვეთრი ქცევითი ან ემოციური ცვლილება

- უეცარი ცვლილება ქცევაში (მაგ. ადრე აქტიური ბავშვი ხდება ძალიან ჩაკეტილი)
- ან პირიქით (მოულოდნელი გაუმჯობესება რაც შეიძლება ნიშნავდეს, რომ ბავშვმა მიიღო სუიციდთან დაკავშირებული გადანწყვეტილება)

პრაქტიკული რჩევები

რა უნდა გავაკეთოთ :

- დაამყარეთ ნდობაზე აგებული ურთიერთობა (იყავით გულწრფელი, მშვიდი და ხელმისაწვდომი. ბავშვმა უნდა იგრძნოს რომ შეუძლია თქვენთან საუბარი)
- იყავით არაგანმსჯელი და აქტიურად მოუსმინეთ არ გაანწყვეტინოთ, არ შეაფასოთ
- ითანამშრომლეთ სხვებთან. ჩართეთ: მშობლები, სკოლის ფსიქოლოგი / მრჩეველი საჭიროების შემთხვევაში სხვა სპეციალისტები

რა არ უნდა გავაკეთოთ :

- არ უგულვებელყოთ გაღიზიანებადობა ან ქცევითი პრობლემები
- არ გააუფასუროთ ბავშვის განცდები (“ეს არაფერია”, “გაივლის”)
- არ დაადანაშაულოთ ან არ შეარცხვინოთ (“რატომ ხარ ასეთი?”, “სხვები უარეს მდგომარეობაში არიან”)

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი (ADHD)

რა არის ADHD?

- ეს არის ტვინის განვითარების თავისებურება, რომელიც გავლენას ახდენს თვითკონტროლისა და თვითმართვის უნარზე
- მოსწავლეს უჭირს ყურადღების კონცენტრაცია, იმპულსების მართვა და მოძრაობის შეკავება
- ADHD არ არის სიზარმაცე, უდისციპლინობა ან „ცუდი ხასიათი“; ეს არის ბიოლოგიური მდგომარეობა
- ეს მდგომარეობა ხშირად გრძელდება მთელი ცხოვრების მანძილზე, თუმცა ასაკთან ერთად სიმპტომები შეიძლება შეიცვალოს
- სწორი მიდგომით, ADHD-ის მქონე მოსწავლეებს შეუძლიათ აკადემიური წარმატების მიღწევა

რა ინვესტაცია ADHD-ს?

ბიოლოგიური ფაქტორები :

ნეიროტრანსმიტერების
დისბალანსი (დოფამინი,
ნორადრენალინი)

ტვინის გარკვეული
უბნები, რომლებიც ქცევის
შეკავებასა და დაგეგმვას
მართავენ,
განსხვავებულად, უფრო
არგზნებულად,
ფუნქციონირებენ

გენეტიკური ფაქტორები :

შემთხვევათა
უმრავლესობაში ის
მემკვიდრეობითია.

ხშირად ოჯახის სხვა
წევრებსაც აქვთ მსგავსი
ნიშნები და სიმპტომები

გარემო-ფაქტორები :

ორსულობის პერიოდში
დედის მიერ თამბაქოს
მოხმარება

ნაადრევი ორსულობა

დაბადებისას დაბალი
წონა

ADHD-ს არ ინვესტაცია მხოლოდ აღზრდის სტილი,
ელექტრონული მოწყობილობები ან შაქრის ჭარბი მიღება

სიმპტომები და ადრეული ნიშნები

უყურადღებობა :

- ხშირი შეცდომები დავალებებში
- დეტალების გამოტოვება
- ინსტრუქციების ბოლომდე შესრულების სირთულე

ჰიპერაქტიურობა :

- მუდმივი მოძრაობა
- სკამზე წრიალი
- ადგილიდან უნებართვოდ ადგომა
ზედმეტი ლაპარაკი

იმპულსურობა : პასუხის წამოძახება, სხვისთვის საუბრის შეწყვეტინება და საკუთარი რიგის დალოდების სირთულე

გულმაჯინულობა : მოსწავლეს ხშირად ავინყდება დავალებები ან კარგავს სასკოლო ნივთებს (ფანქრები, რვეულები)

ყურადღების გაფანტვა : ნებისმიერი გარეშე ხმა ან მოძრაობა ადვილად გადაატანინებს ყურადღებას დავალებიდან

საყურადღებო ნიშნები ("წითელი დროშები")



დაუფიქრებელი ქცევა, რაც იწვევს ხშირ ტრავმებსა და სახიფათო სიტუაციებს

მოსწავლის შედეგები გაცილებით დაბალია მის რეალურ ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე

თანატოლების მხრიდან მუდმივი გარიყვა და კონფლიქტები ურთიერთობის სირთულეების გამო

აშკარა დაუმორჩილებლობა, წესების შეგნებული დარღვევა და აგრესიის გამოვლენა

უკიდურესად დაბალი თვითშეფასება, ხშირი ფრუსტრაცია ან დეპრესიის ნიშნები წარუმატებლობის განცდის გამო

რეკომენდაციები მასწავლებლებისათვის :

რა უნდა გავაკეთოთ :

დაყავით დიდი დავალებები პატარა, ადვილად შესასრულებელ ნაბიჯებად

გამოიყენეთ ფერადი კოდები და ვიზუალური ნიშნები მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოსაკვეთად

მიეცით მოსწავლეს ლეგიტიმური მიზეზი კლასში მოძრაობისთვის, მაგალითად დაფის განმენდა

შეაქეთ მოსწავლე მაშინვე, როგორც კი დავალების თუნდაც მცირე ნაწილს სწორად დაასრულებს

მიეცით მოკლე, მკაფიო და ერთსაფეხურიანი ინსტრუქციები

რა არ უნდა გავაკეთოთ :

არ მიანეროთ ქცევა სიზარმაცეს და არ დასაჯოთ ამის გამო

მოერიდეთ „ძალაუფლებისათვის ბრძოლას“ და ხმის აწევას; ეს მხოლოდ ამწვავებს კონფლიქტს

მოერიდეთ მრავალსაფეხურიან ზეპირ ბრძანებებს; მიეცით მხოლოდ ერთი კონკრეტული დავალება ერთჯერზე

მუდმივი კრიტიკა იწვევს დემორალიზაციას; ეძებეთ მომენტები, როცა ბავშვი რამეს სწორად აკეთებს და შეაქეთ


აუტიზმის სპექტრის აქტიულობა

რა არის აუტიზმის სპექტრის აშლილობა ?

აუტიზმის სპექტრის დარღვევები არის განვითარების დარღვევათა ჯგუფი, რომელიც გავლენას ახდენს ბავშვის ტვინის ფუნქციონირებაზე

მას ახასიათებს სამი ძირითადი სირთულე:

- სოციალური ურთიერთობის დეფიციტი,
- კომუნიკაციის დარღვევა
- განმეორებადი ქცევები ან შეზღუდული ინტერესები



★ სიმპტომები, როგორც წესი, ვლინდება 3 წლამდე ასაკში

გამომწვევი მიზეზები

გენეტიკა

კვლევები აჩვენებს, რომ გენეტიკურ ფაქტორებს დიდი როლი აქვს (ხშირად ოჯახური ისტორია არსებობს)

გარემო ფაქტორები

მუცლადყოფნის დროს არსებულმა გართულებებმა და მეტაბოლურმა ფაქტორებმა შესაძლოა გავლენა იქონიოს

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ

აუტიზმი არ არის გამომწვეული, არასწორი აღზრდით, სტრესით ან მშობლების უყურადღებობით

აუტიზმის ტიპები და მათი გამოვლინება

აუტისტური დარღვევა (Autistic Disorder)

ხასიათდება სოციალური ურთიერთობის მნიშვნელოვანი სირთულეებით (მაგალითად, თვალთ კონტაქტის ან სოციალური ლიმილის ნაკლებობა), ენობრივი განვითარების მკვეთრი შეფერხებით და განმეორებადი მოძრაობებით

ასპერგერის სინდრომი (Asperger's Disorder)

ამ დროს ბავშვს აქვს სოციალური სირთულეები და განმეორებადი ქცევები, თუმცა მას არ აქვს მეტყველების ან ინტელექტის მნიშვნელოვანი შეფერხება . მათი ინტელექტი ხშირად ნორმალური ან მაღალია

მაღალფუნქციური და დაბალფუნქციური მდგომარეობები

მაღალფუნქციური მდგომარეობა

ამ დროს ბავშვებს აქვთ ნორმალური ან მაღალი ინტელექტი (IQ) და მეტყველების განვითარების მნიშვნელოვანი შეფერხება არ აღენიშნებათ მათი კოგნიტური შესრულება ხასიათდება დეტალებზე ორიენტირებულობით – ისინი ხშირად ზედმინვენით ფლობენ ინფორმაციას კონკრეტულ თემებზე (მაგ. დინოზავრები, კოსმოსი), მაგრამ უჭირთ „საერთო სურათის“ დანახვა

დაბალფუნქციური მდგომარეობა

ამ შემთხვევაში აუტიზმი ხშირად თანაარსებობს ინტელექტუალურ შეზღუდვასთან (შემთხვევათა 50-70%-ში) ასეთ დროს ბავშვებს აქვთ მეტყველების მკვეთრი შეფერხება ან საერთოდ არ საუბრობენ, რაც ზრდის მათ საჭიროებას მუდმივ მხარდაჭერასა და სპეციალიზებულ გარემოზე

სენსორული მგრძობელობა და ტაქტილური საჭიროებები

მგრძობელობა ხმაურზე და სინათლეზე

ბევრ ბავშვს აქვს მომატებული მგრძობელობა ხმამაღალ ხმაურზე, კაშკაშა განათებაზე ან უცნობ სუნებზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მათი შფოთვა და აგრესიაც კი

სენსორული ინტეგრაცია

მასწავლებელმა უნდა იცოდეს, რომ სენსორული სტიმულების გადატვირთვა ხელს უშლის ბავშვს ყურადღების კონცენტრაციაში, ამიტომ მნიშვნელოვანია გარემოს ადაპტაცია

ტაქტილური (შეხებითი) თავისებურებები

მოსწავლეებს შეიძლება ჰქონდეთ „ტაქტილური თავდაცვა“, რაც ნიშნავს, რომ მათთვის უსიამოვნოა გარკვეულ ზედაპირებთან ან ადამიანებთან შეხება

- ამავე დროს, ზოგიერთი ბავშვი პირიქით, საჭიროებს დამატებით ტაქტილურ სტიმულაციას საკუთარი სხეულის აღსაქმელად და დასამშვიდებლად

რას შეიძლება დააკვირდეს მასწავლებელი ?

კომუნიკაცია და სოციალიზაცია

სხვების ემოციების გაგების და თანაგრძნობის სირთულე.

“ექოლალია” - სხვისი ნათქვამი სიტყვების ან ფრაზების ზუსტი გამეორება.

ზედმეტად დეტალური, “ნიგნის ენით” ან ცალმხრივი საუბარი (მხოლოდ თავის საყვარელ თემაზე)

სირთულეები თანატოლებთან თამაშში (ურჩევნია მარტო ყოფნა)

ქცევა და ინტერსები

ვინრო და ძლიერი ინტერესები (მაგ. მხოლოდ ერთ კონკრეტულ თემაზე ფიქრობს)

განმეორებითი მოძრაობები (მაგ. ხელების ქნევა, ტანის რწევა)

ნაწილებისადმი უჩვეულო ურადლება (მაგ. სათამაშოს მხოლოდ ერთი დეტალის ტრიალი, ნიგნის მხოლოდ ერთ გვერდზე კონცენტრირება)

საყურადღებო ნიშნები

არ გიყურებთ თვალებში
საუბრის დროს

ასაკთან შედარებით ძალიან მწირი
სიტყვათა მარაგი ან წინადადებების
აგების სირთულე

არ იშვებს თითს საგნებისკენ და არ
ცდილობს, რაიმე საინტერესო
განახოთ

უჭირს წარმოსახვითი თამაშები
(მაგალითად, არ თამაშობს
“ექიმობანას” ან “მასწავლებლობანას”)

არ რეაგირებს თავის სახელზე,
ჟესტებზე ან თქვენს მითითებებზე
(თითქოს არ ესმის)

პრაქტიკული რჩევები მასწავლებლებისთვის

ქცევის ანალიზი (ABA მოდელი)

დააკვირდით, რა უსწრებს წინ ხელშემშლელ ქცევას და რა შედეგი მოჰყვება მას, რათა შეძლოთ მისი მართვა და სასურველი ქცევის ნახალისება

გარემოს მონყობა

ზოგჯერ საჭიროა ბავშვისთვის საკლასო ოთახში სპეციფიკური ადგილის შერჩევა (მაგ. მასწავლებელთან ახლოს), რათა შემცირდეს ყურადღების გაფანტვა



თანამშრომლობა

მუდმივი კავშირი მშობლებთან და სპეციალისტებთან, რათა სახლსა და სკოლაში ერთიანი სტრატეგიები იქნას გამოყენებული

სპინერები და ტრიალა საგნები

აუტიზმის მქონე ბავშვებს ხშირად აქვთ ბუნებრივი ინტერესი საგნების ტრიალის მიმართ, რაც მათთვის ერთგვარი თვითსტიმულაციაა და შინაგან კმაყოფილებას ანიჭებთ

პრაქტიკული რჩევები მასწავლებლებისთვის

რა უნდა გავაკეთოთ :

გამოიყენეთ ვიზუალური მასალა : ინფორმაციის თავლით უკეთ აღსაქმელად გამოიყენეთ დაფა, სურათები, გრაფიკები.

შექმენით სტრუქტურირებული რუტინა : ბავშვმა წინასწარ უნდა იცოდის, რა მოხდება გაკვეთილზე. მოულოდნელობები მათთვის სტრესულია.

გაითვალისწინეთ ყურადღების პრობლემები : დაყავით დავალებები მცირე, მარტივ ნაწილებად.

რა არ უნდა გავაკეთოთ :

არ დააძალოთ : ნუ მოთხოვთ თვალეში ყურებას თუ ეს მათთვის დისკომფორტს იწვევს.

არ დააჩქაროთ : გამოიჩინეთ მოთმინება, მიეცით დამატებითი დრო ინფორმაციის გადასამუშავებლად და პასუხის გასაცემად

არ დასაჯოთ უნებლიე ქცევისთვის : გახსოვდეთ, რომ განმეორებითი მოძრაობები (მაგ. ხელების ქნევა) მათ დამშვიდებაში ეხმარება

ქცევითი აშლილობები :

ოპოზიციურ -გამომწვევი და ქცევის
აშლილობები

რა არის ქცევითი აშლილობა ?

ქცევითი აშლილობა არის მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება ბავშვის მხრიდან მასწავლებლებისადმი მუდმივი წინააღმდეგობითა და დადგენილი წესების დაუმორჩილებლობით. ძირითადი მახასიათებლებია:

ემოციების მართვის სირთულე : ბავშვს უჭირს ბრაზისა და იმპულსების კონტროლი სხვებთან შედარებით.

ნორმების დარღვევა : რთულ შემთხვევებში ბავშვი არღვევს სხვების უფლებებსა და სკოლის ძირითად წესებს.

თანმხლები პრობლემები : ეს მდგომარეობა ხშირად ვლინდება ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომთან (ADHD) ან სწავლის სირთულეებთან ერთად

გამომწვევი მიზეზები

ტვინის განვითარება და ბიოლოგია : ტვინის იმ ნაწილების განსხვავებული მუშაობა, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ემოციებისა და იმპულსების კონტროლზე

გენეტიკა : გენეტიკური მიდრეკილება, რომელიც განსაკუთრებით აქტიურდება სტრესულ გარემოში



თანდაყოლილი ტემპერამენტი : ზოგიერთი ბავშვი დაბადებიდანვე უფრო მოუსვენარი, ჯიუტი და ადვილად გაღიზიანებადია

გარემო და სტრესი : რთული ოჯახური პირობები, ძლიერი სტრესი, მუდმივი კონფლიქტი ან ძალიან მკაცრი აღზრდის სტილი

სიმპტომები და პირველი ნიშნები კლასში

მუდმივი კამათი : ხშირად ეკამათება მასწავლებელს და ჯიუტად ამბობს უარს დავალებების შესრულებაზე
მოუსვენრობა : უჭირს ერთ ადგილზე ჯდომა და თავისი რიგის ლოდინი

სხვების დადანაშაულება : საკუთარ შეცდომებსა და ცუდ საქციელში ყოველთვის სხვებს ადანაშაულებს

განზრახ გაღიზიანება : სპეციალურად იქცევა ისე, რომ შეაწყოს ან გააბრაზოს თანაკლასელები

ემოციური არასტაბილურობა : ძალიან მალე ბრაზდება, ადვილად ფრუსტრირდება და ყვირის წვრილმან პრობლემებზეც კი

საყურადღებო ნიშნები ("წითელი დროშები")



ფიზიკური აგრესია : ხშირი ჩხუბი, თანაკლასელების დაჩაგვრა (ბულინგი) ან სისასტიკე ცხოველების მიმართ

ქურდობა : სხვისი ნივთების ფარულად ან ღიად მითვისება

ქონების დაზიანება : სკოლის ინვენტარის ან სხვების ნივთების განზრახ გაფუჭება

თანაგრძნობის ნაკლებობა : დანაშაულის ან სინანულის გრძნობის არქონა სხვისთვის ზიანის მიყენების შემდეგ

წესების უხეში დარღვევა : სისტემური გაპარვა გაკვეთილებიდან და ხშირი ტყუილი

რეკომენდაციები მასწავლებლებისათვის :

რა უნდა გაგაკეთოთ :

შეაქეთ პოზიტიური ქცევა : ხშირად წაახალისეთ კარგი საქციელი (მაგ. ყოველდღიური შეფასების ბარათებით)

გამართივით ინსტრუქციები : მიეცით მოკლე, ნათელი დავალებები და დიდი ამოცანები დაყავით მცირე ნაწილებად

ასწავლეთ ემოციების მართვა : დაეხმარეთ პრობლემების მშვიდად გადაჭრის გზების პოვნაში

რა არ უნდა გაგაკეთოთ :

ნუ აჰყვებით კამათში : მოერიდეთ ბავშვთან საჯარო კამათს და ხმის აწევას - ეს მათ წინააღმდეგობას მხოლოდ აძლიერებს

მოერიდეთ მკაცრ დასჯას : დამამცირებელი დასჯის ნაცვლად, დაანესეთ წინასწარ შეთანხმებული, ლოგიკური და სამართლიანი წესები

სწავლის სირთულეები და
დისლექსია

რა არის სწავლის სირთულეები ? დისლექსია ?

რა არის სწავლის სირთულე ? ეს არის ნეირობიოლოგიური დარღვევა, რომელიც გავლენას ახდენს სწავლის კონკრეტულ სფეროებზე და ქმნის შეუსაბამობას ბავშვის ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და მის აკადემიურ მოსწრებას შორის.

დისლექსია : ეს არის სწავლის სირთულის ყველაზე გავრცელებული ფორმა, რომელიც სწავლის სირთულეების მქონე ბავშვების **80%-ში** გვხვდება. ის ძირითადად დაკავშირებულია კითხვისა და ბგერითი აღქმის პრობლემებთან.

ინტელექტი : მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ სწავლის სირთულეები შეიძლება ჰქონდეთ მაღალი ან საშუალო ინტელექტის მქონე ბავშვებსაც

რატომ და რა უჭირით ბავშვებს ?

ავტომატური და ადვილად
აღსაქმელი კავშირების დამყარება
ზეპირ და წერილობით ენას შორის

ინფორმაციის კოორდინაციის
პრობლემა : ტვინს უჭირს სხვადასხვა
უბნიდან მიღებული ინფორმაციის
ერთმანეთთან დაკავშირება

ფონოლოგიური გააზრების
დეფიციტი : უჭირთ სიტყვაში
ცალკეული ბგერების გარჩევა

ტვინის მუშაობის თავისებურება : ეს არ
არის სიზარმაცე ან უყურადღებობა ;
ბავშვის ტვინი უბრალოდ ინფორმაციას
განსხვავებულად ამუშავებს

ორთოგრაფიული პრინციპების
სირთულე : უჭირთ ბგერების
ასოებთან ან ასოთა ჯგუფებთან
დაკავშირება

მიზეზები : სწავლის სირთულეები ხშირად
გენეტიკურია და ოჯახში მემკვიდრეობით
გადადის . ის ასევე შეიძლება გამონვეული იყოს
ტვინის განვითარების პროცესში არსებული მცირე
დარღვევებით ან სხვადასხვა გარემო
ფაქტორებით

სიმპტომები და პირველი ნიშნები :

წერა და კითხვა : კითხულობს ძალიან ნელა, ხშირად უშვებს მართლწერის შეცდომებს და აქვს გაურკვეველი ხელწერა

ბგერების გარჩევა : უჭირს სიტყვების გარითმვა ან სიტყვაში ბგერების დაშლა/გამოყოფა

სიტყვების გახსენება : იყენებს ზოგად ტერმინებს (“ის ნივთი”, “რალაც”) კონკრეტული სიტყვების პოვნის ნაცვლად

ტემპი : სჭირდება უჩვეულოდ დიდი დრო დაფიდან რვეულში ტექსტის გადასაწერად

შფოთვა და მოტივაცია

შფოთვა :

- ხშირი წარუმატებლობა → დაბალი თვითშეფასება
- ხმამაღლა კითხვის შიში
- გამოცდებთან და კლასში გამოსვლასთან დაკავშირებული შფოთვა
- აქტივობების არიდება

მოტივაციის სირთულეები :

- ხშირი წარუმატებლობა → დანებების განცდა
- დიდი ძალისხმევა, დაბალი შედეგი
- დაბალი ჩართულობა, ინტერესის დაკარგვა

კლასში :

- თავს არიდებს კითხვას
- ამბობს „არ შემიძლია“
- ნერვიულობს დავალებებზე

საყურადღებო ნიშნები ("წითელი დროშები")



დიდი ნაპრალი : ბავშვს აქვს ბრწყინვალე ზეპირი მეტყველება და მსჯელობის უნარი, მაგრამ სრულად იჭრება წერით დავალებებში

ასაკობრივი შეუსაბამობა : პირველი კლასის ბოლოს ბავშვს ჯერ კიდევ არ შეუძლია მარტივი სამასოიანი სიტყვების წაკითხვა

ემოციური სტრესი : ბავშვი თავს არიდებს ხმამაღლა კითხვას, ხდება ჩაკეტილი ან ამბობს: „მე სულელი ვარ“

რეკომენდაციები მასწავლებლებისათვის :

რა უნდა გავაკეთოთ :

მიეცით დამატებითი დრო: წერიტი ტესტებისთვის გამოუყავით მეტი დრო ან შეაფასეთ ზეპირად

დაყავით დავალებები : დიდი დავალებები დაყავით მცირე ნაბიჯებად

გამოიყენეთ მულტიმედია : ჩართეთ სწავლებაში აუდიო ან ვიდეო მასალები

შეაქეთ ძლიერი მხარეები : ხშირად წაახალისეთ მისი წარმატებები მოტივაციისა და თავდაჯერებულობის შესანარჩუნებლად

რა არ უნდა გავაკეთოთ :

ნუ აიძულებთ ხმამაღლა კითხვას : ნუ სთხოვთ ბავშვს მთელი კლასის წინაშე კითხვას, ეს მისთვის დიდ სტრესია

ნუ დააკლებთ ნიშანს ორთოგრაფიისთვის : თუ საგანი არ არის ენა/ლიტერატურა (მაგ. მეცნიერება ან მათემატიკა), ნუ დასჯით შეცდომების გამო

ნუ ჩათვლით , რომ „ზარმაცია“ : ნუ იფიქრებთ, რომ ის საკმარისად არ ცდილობს

ერთად გადავლახოთ სირთულეები !!!

“ დისლექსია განსხვავებული ნეირონული მონყობაა და არა დაზიანებული ტვინი. საკლასო გარემოსა და სტრატეგიების შეცვლით, ჩვენ გვერდს ვუვლით “გამიფვრის ბარიერს” და ვაძლევთ ბავშვის ბუნებრივ ინტელექტს გამოვლენის საშუალებას”



მშობელთან
კომუნიკაცია

როგორ მივანოდოთ ინფორმაცია მშობელს ?

მომზადება და გარემოს შერჩევა :

საუბარი უნდა შედგეს მხოლოდ პრივატულ გარემოში სადაც სხვა პირები (მოსწავლეები, სხვა მშობლები) არ იმყოფებიან

დაიცავით კონფიდენციალურობა

წინასწარ მოამზადეთ კონკრეტული დაკვირვებები მოსწავლის ქცევაზე, რათა საუბარი იყოს არგუმენტირებული და არა ზოგადი

საუბრის დასაწყისი :

საუბარი ყოველთვის დაიწყეთ ბავშვის ძლიერი მხარეების, ნიჭის ან წარმატებების აღნიშვნით

აგრძნობინეთ მშობელს, რომ თქვენ ხედავთ ბავშვის უნიკალურობას და არა მხოლოდ მის სირთულეებს

გამოიყენეთ არაგანმსჯელი სტილი, რათა მშობელმა თავი თავდაცვის რეჟიმში არ იგრძნოს

როგორ მივანოდოთ ინფორმაცია მშობელს ?

დაკვირვებების გაზიარება :

არ გამოიყენოთ სამედიცინო ტერმინები ან დიაგნოზები!

ამოიყენეთ ფრაზები: „შევნიშნე, რომ ბოლო დროს გიორგის გაკვეთილზე ხშირად უფანტება ყურადღება“ ან „მიჭირს მასთან თვალით კონტაქტის დამყარება“

აუხსენით, რომ ეს ქცევები განსხვავდება იმისგან, რაც ტიპიურია მისი ასაკის სხვა ბავშვებისთვის

მშობლის აზრის მოსმენა :

აგრძნობინეთ მშობელს რომ მან ყველაზე უკეთ იცის თავისი შვილის შესახებ

ჰკითხეთ: „თქვენ თუ შეგინიშნავთ მსგავსი რამ სახლში?“ ან „თქვენი დაკვირვებით, რა ეხმარება მას სიმშვიდის შენარჩუნებაში?“

მიეცით მშობელს საშუალება, სრულად გამოხატოს თავისი აზრი და ემოციები

როგორ მივანოდოთ ინფორმაცია მშობელს ?

მოერიდეთ „დამნაშავის ძიებას“:

აუხსენით რომ მსგავსი პრობლემები არის ბიოლოგიური თავისებურება რომელიც საჭიროებს ბავშვის მხარდაჭერას

დაანრმუნეთ რომ ეს არ არის არასწორი აღზრდის ან მშობლის შეცდომის შედეგი

აუხსენით, რომ ადრეული ამოცნობა და დახმარება მდგომარეობას გამოასწორებს

კოლაბორაცია :

დაანახეთ მშობელს რომ სკოლა და ოჯახი ერთი გუნდია მოსწავლის წარმატებისთვის

ურჩიეთ, რომ თქვენი დაკვირვებები საჭიროებს გადამონმებას კვალიფიციურ სპეციალისტთან

თუ შესაძლებელია, მიეცით მშობელს მოკლე საინფორმაციო ბარათი ან ბუკლეტი, რადგან სტრესის დროს ინფორმაციის დამახსოვრება რთულია

ქვისეზის დისკუსია

ქეისი

გაბრიელი 8 წლის მოსწავლეა. ხშირად არ რეაგირებს, როცა მას სახელით მიმართავენ, და ჯგუფურ აქტივობებში დაბნეული ჩანს. ზოგიერთ მასწავლებელს ჰგონია, რომ მას ყურადღების პრობლემა აქვს. თუმცა გაბრიელი ძლიერ ინტერესდება კონკრეტული თემებით, ზუსტად იმახსოვრებს ფაქტებს და ძალიან ღიზიანდება, თუ დღის განრიგი იცვლება. მშობელი ამბობს, რომ პატარა ასაკიდანვე უჭირდა სხვა ბავშვებთან თამაში.

კითხვა: რომელი ადრეული ნიშნებია წარმოდგენილი ქეისში და რომელ მენტალურ დარღვევაზე შეიძლება მიუთითებდეს ისინი?

ქეისი

გაბრიელი 8 წლის მოსწავლეა. ხშირად არ რეაგირებს, როცა მას სახელით მიმართავენ, და ჯგუფურ აქტივობებში დაბნეული ჩანს. ზოგიერთ მასწავლებელს ჰგონია, რომ მას ყურადღების პრობლემა აქვს. თუმცა გაბრიელი ძლიერ ინტერესდება კონკრეტული თემებით, ზუსტად იმახსოვრებს ფაქტებს და ძალიან ღიზიანდება, თუ დღის განრიგი იცვლება. მშობელი ამბობს, რომ პატარა ასაკიდანვე უჭირდა სხვა ბავშვებთან თამაში.

აუტიზმის სპექტრის აშლილობა

ქეისი

გიორგი 11 წლის მოსწავლეა. ბოლო პერიოდში დავალებების შესრულებას ძალიან დიდ დროს ანდომებს. სანამ რვეულს ჩააბარებს, რამდენჯერმე ამოწმებს თითოეულ სიტყვას და თუ ვინმე მის ნივთებს შეეხება, თავიდან იწყებს წერას. ტესტირების დროს რამდენჯერმე უთხოვია კლასიდან გასვლა, რადგან „სუნთქვა უჭირს“. ერთხელ ტესტი საერთოდ არ ჩააბარა, რადგან ფიქრობდა, რომ დავალება „საკმარისად სწორად“ არ ჰქონდა შესრულებული. მასწავლებლები თავდაპირველად ამას ზედმეტ პასუხისმგებლობად აფასებდნენ.

კითხვა: რომელი ადრეული ნიშნებია წარმოდგენილი ქეისში და რომელ მენტალურ დარღვევაზე შეიძლება მიუთითებდეს ისინი?

ქეისი

გიორგი 11 წლის მოსწავლეა. ბოლო პერიოდში დავალებების შესრულებას ძალიან დიდ დროს ანდომებს. სანამ რვეულს ჩააბარებს, რამდენჯერმე ამონებს თითოეულ სიტყვას და თუ ვინმე მის ნივთებს შეეხება, თავიდან იწყებს წერას. ტესტირების დროს რამდენჯერმე უთხოვია კლასიდან გასვლა, რადგან „სუნთქვა უჭირს“. ერთხელ ტესტი საერთოდ არ ჩააბარა, რადგან ფიქრობდა, რომ დავალება „საკმარისად სწორად“ არ ჰქონდა შესრულებული. მასწავლებლები თავდაპირველად ამას ზედმეტ პასუხისმგებლობად აფასებდნენ.

შფოთვითი აშლილობა
საგანგაშ ნიშანი

ქეისი

ელენე 9 წლის მოსწავლეა. მასწავლებელი აღნიშნავს, რომ გოგონა ინსტრუქციებს ხშირად ვერ მიჰყვება, იოლად ეფანტება ყურადღება და ზოგჯერ თითქოს საერთოდ „ვერ იგებს“, რას ეუბნებიან. ხმამაღლა კითხვისას ჩერდება, სიტყვებს ერთმანეთში ურევს და ხშირად ამბობს, რომ კითხვა არ უნდა. შესვენებებზე ძირითადად მარტო ზის. ზოგიერთ მასწავლებელს ეჭვი აქვს, რომ ელენეს ინტელექტუალური სირთულეები აქვს, სხვები კი ფიქრობენ, რომ უბრალოდ უყურადღებოა.

კითხვა: რომელი ადრეული ნიშნებია წარმოდგენილი ქეისში და რომელ მენტალურ დარღვევაზე შეიძლება მიუთითებდეს ისინი?

ქეისი

ელენე 9 წლის მოსწავლეა. მასწავლებელი აღნიშნავს, რომ გოგონა ინსტრუქციებს ხშირად ვერ მიჰყვება, იოლად ეფანტება ყურადღება და ზოგჯერ თითქოს საერთოდ „ვერ იგებს“, რას ეუბნებიან. ხმამაღლა კითხვისას ჩერდება, სიტყვებს ერთმანეთში ურევს და ხშირად ამბობს, რომ კითხვა არ უნდა. შესვენებებზე ძირითადად მარტო ზის. ზოგიერთ მასწავლებელს ეჭვი აქვს, რომ ელენეს ინტელექტუალური სირთულეები აქვს, სხვები კი ფიქრობენ, რომ უბრალოდ უყურადღებოა.

დისლექსია

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი (ADHD)

ქეისი

სანდრო 8 წლის მოსწავლეა. სკოლაში თითქმის არასოდეს ლაპარაკობს, თუმცა სახლში მშობლები აღწერენ, როგორც ძალიან აქტიურ და კომუნიკაბელურ ბავშვს. კლასში კითხვაზე პასუხის გაცემისას აშკარად იძაბება, სახე უწითლდება და ზოგჯერ ცრემლებიც მოსდის. რამდენიმე მასწავლებელი ფიქრობს, რომ ის მანიპულირებს, რათა ყურადღება მიიქციოს ან პასუხის გაცემა აირიდოს.

კითხვა: რომელი ადრეული ნიშნებია წარმოდგენილი ქეისში და რომელ მენტალურ დარღვევაზე შეიძლება მიუთითებდეს ისინი?

ქეისი

სანდრო 8 წლის მოსწავლეა. სკოლაში თითქმის არასოდეს ლაპარაკობს, თუმცა სახლში მშობლები აღწერენ, როგორც ძალიან აქტიურ და კომუნიკაბელურ ბავშვს. კლასში კითხვაზე პასუხის გაცემისას აშკარად იძაბება, სახე უწითლდება და ზოგჯერ ცრემლებიც მოსდის. რამდენიმე მასწავლებელი ფიქრობს, რომ ის მანიპულირებს, რათა ყურადღება მიიქციოს ან პასუხის გაცემა აირიდოს.

სელექტიური მუტიზმი

მფოთვითი აშლილობა

ქეისი

დათო 13 წლის მოსწავლეა. ბოლო პერიოდში საგრძნობლად დაეცა მისი აკადემიური მოსწრება. ადრე აქტიურად ერთვებოდა გაკვეთილებში, ახლა კი ხშირად ამბობს, რომ „აზრი არ აქვს“. ზოგჯერ გაკვეთილზე სძინავს, დავალებებს აღარ აბარებს და მეგობრებთან ურთიერთობასაც ერიდება. ამავე დროს, ტესტების დღეებში განსაკუთრებით ღელავს, რამდენჯერმე უთქვამს, რომ გული სწრაფად უცემს და ეშინია, „ყველას თვალში არ ჩავარდეს“. ერთ-ერთმა მასწავლებელმა ჩათვალა, რომ დათო უბრალოდ ზარმაცი გახდა და პასუხისმგებლობებს გაუარბის.

კითხვა: რომელი ადრეული ნიშნებია წარმოდგენილი ქეისში და რომელ მენტალურ დარღვევაზე შეიძლება მიუთითებდეს ისინი?

ქვისი

დათო 13 წლის მოსწავლეა. ბოლო პერიოდში საგრძნობლად დაეცა მისი აკადემიური მოსწრება. ადრე აქტიურად ერთვებოდა გაკვეთილებში, ახლა კი ხშირად ამბობს, რომ „აზრი არ აქვს“. ზოგჯერ გაკვეთილზე სძინავს, დავალებებს აღარ აბარებს და მეგობრებთან ურთიერთობასაც ერიდება. ამავე დროს, ტესტების დღეებში განსაკუთრებით ღელავს, რამდენჯერმე უთქვამს, რომ გული სწრაფად უცემს და ეშინია, „ყველას თვალში არ ჩავარდეს“. ერთ-ერთმა მასწავლებელმა ჩათვალა, რომ დათო უბრალოდ ზარმაცი გახდა და პასუხისმგებლობებს გაუარბის.

დეპრესია

შფოთვითი აშლილობა

ქეისი

მარიამი 15 წლის მოსწავლეა. ბოლო პერიოდში ძალიან მარტივად ღიზიანდება. ხშირად ეკამათება მასწავლებლებს, რამდენჯერმე კლასიკ დატოვა გაბრაზებულმა. მეგობრებთან ურთიერთობაც დაეძაბა. ამავე დროს, მშობელი აღნიშნავს, რომ სახლში თითქმის აღარ გამოდის ოთახიდან, ღამე გვიან იძინებს და ამბობს, რომ „ყველაფერი მობეზრდა“. სკოლაში ზოგი ფიქრობს, რომ ის უბრალოდ რთული ხასიათის მოზარდია.

კითხვა: რომელი ადრეული ნიშნებია წარმოდგენილი ქეისში და რომელ მენტალურ დარღვევაზე შეიძლება მიუთითებდეს ისინი?

ქეისი

მარიამი 15 წლის მოსწავლეა. ბოლო პერიოდში ძალიან მარტივად ღიზიანდება. ხშირად ეკამათება მასწავლებლებს, რამდენჯერმე კლასიკ დატოვა გაბრაზებულმა. მეგობრებთან ურთიერთობაც დაეძაბა. ამავე დროს, მშობელი აღნიშნავს, რომ სახლში თითქმის აღარ გამოდის ოთახიდან, ღამე გვიან იძინებს და ამბობს, რომ „ყველაფერი მობეზრდა“. სკოლაში ზოგი ფიქრობს, რომ ის უბრალოდ რთული ხასიათის მოზარდია.

დეპრესია

ქცევითი აშლილობა

მადლობა , რომ ეხმარებით თითოეულ
მოსწავლეს ,
აღმოაჩინოს თავისი უნიკალურობა
და იპოვოს საკუთარი ადგილი სამყაროში

გამოყენებული მასალები :

- Barkley, R. A. (2014). Attention-deficit hyperactivity disorder: A handbook for diagnosis and treatment (4th ed.). Guilford Press.
- Brown, T. E. (Ed.). (2009). ADHD comorbidities: Handbook for ADHD complications in children and adults (1st ed.). American Psychiatric Publishing.
- Bui, E., Charney, M. E., & Baker, A. W. (Eds.). (2020). Clinical handbook of anxiety disorders: From theory to practice. Springer Nature Switzerland.
- Lam, R. W. (2018). Depression (3rd ed.). Oxford University Press.
- Matthys, W., & Lochman, J. E. (2010). Oppositional defiant disorder and conduct disorder in childhood. John Wiley & Sons.
- Murphy, M. J., Cowan, R. L., & Sederer, L. I. (2009). Blueprints psychiatry (5th ed.). Lippincott Williams & Wilkins.
- Patel, D. R., Greydanus, D. E., Omar, H. A., & Merrick, J. (Eds.). (2011). Neurodevelopmental disabilities: Clinical care for children and young adults. Springer Science+Business Media.
- Working Group on Depression. (n.d.). დეპრესია - პროტოკოლი [Depression - Protocol].
- Centers for Disease Control and Prevention. (2024). Data and statistics on children's mental health.
- Centers for Disease Control and Prevention. (2024). About children's mental health.



თბილისის
სამედიცინო
აკადემია

